

რატომ არის პასუხისმგებლიანი საბანკო საქმიანობა ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უბრალოდ ანგარიში

“ჩვენ ვალდებული ვართ მივიღოთ ვიყოთ პასუხისმგებლიანი ბანკი, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული პრინციპებით ხელმძღვანელობს.”¹
(დოქ. კლაუს პიტერ ცაიტინგერი)

მეთხე წლიურ ზემოქმედების ანგარიშში, სახელწოდებით „რატომ არის პასუხისმგებლიანი საბანკო საქმიანობა ჩვენთვის მნიშვნელოვანი“, აღწერილია პროკრედიტ ბანკის ვალდებულება გარემოს დაცვის, სოციალური საქმიანობის და კორპორატიული მართვის კუთხით (ESG). ანგარიშში ასევე მოცემულია საკითხთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციაც, რაც ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მიმდინარე წლის ანგარიშში მცირედ განსხვავდება წინა გამოცემებისგან და მასში გარემოს დაცვის, სოციალური საქმიანობის და კორპორატიული მართვის მარტივი პარამეტრები სიღრმისეულად არის წარმოდგენილი. სხვა კომპანიებისგან პროკრედიტი გამორჩეულია სწორედ სტანდარტების საქმიანობაში საფუძვლიანი დანერგვით. დარწმუნებულები ვართ, რომ ეს უმთავრესია იმ შედეგისთვის, რაც ჯგუფმა 2020 წელს მიაღწია.



SME საწარმოებზე და ეკონომიკის მხარდაჭერაზე ჩვენი ორიენტირება, განსაკუთრებით კი რთულ პერიოდში, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. პასუხისმგებლიანი დაკრედიტება და აგრესიული დაფინანსებისადმი არაკეთილგანწყობილება, ყველაფერი ეს თვალსაჩინოა ჩვენი მომხმარებლებისთვის. ვფიქრობთ, რომ პანდემიის პერიოდში ჩვენი მნიშვნელოვანი ზრდა, იმის ფონზე, როცა სხვა ბანკებმა ფაქტიურად შეაჩერეს ბიზნეს სესხების გაცემა, უდაოდ მიანიშნებს, რომ ბანკის ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს COVID-19-ით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირებას.

როგორც ჯგუფს, **მტკიცე ვალდებულება გვაქვს გარემოსა და კლიმატზე პოზიტიურ ზემოქმედების მხრივ**, რაც მწვანე სესხების პორტფელისა და განახლებადი ენერჯის პროექტების დაკრედიტების ზრდაში აისახება. მოცემულ ანგარიშში აღწერილია გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩოს სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კომპლექსური შეფასება, რომელიც ბანკის ყველა კლიენტისთვის სავალდებულოა. ასევე ნინსვლა გვაქვს საშუალოვადიან პერიოდში ნახშირბად-ნეიტრალურ ჯგუფად ქცევის მიზნის მიღწევაში. 2020 წელს, CO2-ის გამონაბოლქვი 4%-ით შევამცირეთ.

მესამე **კომპონენტი, რომელიც პროკრედიტს გამოარჩევს, პერსონალისადმი მიდგომა და მათი განვითარების ხელშეწყობაა**. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პანდემიის წელს. თანამშრომლების სტიმულირება ჩვენთვის მოკლევადიანი მიზნებით და პრემიებით არ შემოიფარგლება. მნიშვნელოვან ინვესტიციას გამოვყოფთ მათ გადამზადებაში. რისკის მართვის პროცედურების კორექტირებისას, სესხის გაცემების, რესტრუქტურისა და შესახებ სწორი გადაწყვეტილებების მიღებისას. მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები მოულოდნელი გამოწვევებით სავსე წლის განმავლობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი პერსონალისა და მენეჯერების კომპეტენცია და მზაობა დაგვეხმარა არსებული კრიზისის ეფექტურად მართვაში, ამიტომაც მომავალს თავდაჯერებით ვუყურებთ.

წინა ანგარიშების მსგავსად, წარმოდგენილი საინფორმაციო ბროშურა გლობალური ანგარიშების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისია.²

¹ იხილეთ „სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის წინასიტყვაობა“ მე-2 გვერდზე.
² საერთაშორისო დამოუკიდებელი სტანდარტები საწარმოებისთვის, მთავრობებისა და ინსტიტუტებისთვის, თავიანთი ეკოლოგიური ზემოქმედების თანმიმდევრული და სანდო გზით შესაფასებლად. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ <https://www.globalreporting.org/how-to-use-the-gri-standards/gri-standards-english-language/>.

2020 წლის ზემოქმედების ანგარიში - რა უნდა იცოდეთ?

ანგარიში სამი ძირითადი თავისგან შედგება: სოციალურად პასუხისმგებელი მიდგომა, მწვანე დაფინანსება და პერსონალი. ანგარიშში წარმოდგენილია ჩვენი მიდგომის სრული მიმოხილვა, რომელიც ილუსტრირებულია გასული წლის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მთამბეჭდავი მიღწევების მაგალითებით.



ჩვენი სოციალურად პასუხისმგებელი მიდგომა (იხილეთ მე-9 გვერდი)

ამ თავში დეტალურად განვიხილავთ, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ჩვენი ბიზნეს მიდგომა ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე იმ ქვეყნებში, სადაც ვსაქმიანობთ. ჩვენი მიდგომით ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ პასუხისმგებელ ფინანსურ სისტემას და გრძელვადიან პოზიტიურ ცვლილებებს ბაზრებზე.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- პანდემიის დროს ბიზნეს პორტფელის ზრდა 10%-ით
 - ბიზნეს სესხების პორტფელის 45% წარმოებასა და სოფლის მეურნეობას მოიცავს
- სულ საკრედიტო პორტფელი (5,3 მილიარდი ევრო)
 - ჩვენი საკრედიტო პორტფელის 4,9 მილიარდი ევრო (94%) მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას მოიცავს
 - 332 მილიონი ევრო (6%) ფიზიკური პირების დაკრედიტებას უზრუნველყოფს, როგორცაა საბინაო (სარემონტო) სესხები და საინვესტიციო სესხები
- თითოეული კლიენტის რისკის გონივრული შეფასება როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკის ჩათვლით.

მომხმარებლის სესხები - პროკრადიტის საკრედიტო საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილია



მცირე და საშუალო ბიზნესები 94% (4,9 მლრდ. ევრო)

ფიზიკური პირები 6% (332 მლნ. ევრო)

2020 წლის მიხედვით



მწვანე დაფინანსება (იხილეთ 34-ე გვერდი)

ამ ნაწილში განვიხილავთ, როგორია პროკრედიტის პოზიტიური გამოცდილება, როგორც სანდო პარტნიორის, რომელიც საკუთარ ვალდებულებად თვლის მომხმარებელს დაეხმაროს და მდგრადი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო რჩევები მისცეს.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- მწვანე სესხების პორტფელის განვითარება
 - მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდის 40%-ზე მეტი
 - დაახლოებით 7000 მწვანე სესხი
 - მწვანე სესხების დაახლოებით 1 მილიარდი ევრო (18.7%) ჩვენს მთლიან საკრედიტო პორტფელში, საიდანაც 98% არის მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორზე გაცემული სესხები
 - მწვანე სესხების პორტფელის ზრდა 24%-ით

- გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება - ჯგუფის მასშტაბით პლასტმასთან დაკავშირებული სტრატეგიის განხორციელება
- განახლებადი ენერჯის პროექტების დაფინანსება
 - საბერძნეთში ადგილობრივი ენერჯის გარდაქმნის მხარდაჭერა ენერგეტიკული სოციალური პროექტების საშუალებით; უმსხვილესი სოციალური პროექტი მოიცავდა 116 ფოტოვოლტარულ პანელს, საერთო ჯამში 94 მეგავატი სიმძლავრით
 - განახლებადი ენერჯის სხვა ინვესტიციები განაწილებულ ფოტოვოლტარულ სისტემებში და სხვა მცირემასშტაბიან პროექტებში, 2020 წელს მკვეთრი ზრდით



პერსონალი (იხილეთ 50-ე გვერდი)

ამ ნაწილში განვიხილავთ პერსონალის ძირითად როლს და მათ თანხვედრას ჩვენს ეთიკურ პრინციპებთან, ასევე განვმარტავთ ადამიანური რესურსების მართვის მიდგომას. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ თანამშრომლების მუდმივ პროფესიულ და პირად განვითარებას, რაც აისახება არსებულ კომპლექსურ სასწავლო პროგრამებში. ჩვენს თანამშრომლებს ყოველთვის ვურჩევთ დაფიქრდნენ საკუთარ ღირებულებებზე და მათ როლზე საზოგადოებაში, ასევე გაიზიარონ ჩვენი ღირებულებები საბანკო საქმისა და გარემოს მიმართ ეთიკური მიდგომის კუთხით.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- COVID-19-ის პანდემია: უხარვეზო გადასვლა დისტანციურ მუშაობაზე. ციფრულ პლატფორმებთან და ონლაინ მეთოდებთან სწრაფი ადაპტაცია ვებინარების, ტრენინგების, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის (ონბორდინგ) პროგრამის წარმართვისთვის.
 - 106 საათიანი ტრენინგი თითო თანამშრომელზე 2020 წელს


- გენდერული მრავალფეროვნება: პროკრედიტ ბანკებში ღირექტორთა საბჭოს წევრების 47% ქალია
- კადრების აყვანის მიმდინარე პროცესები და ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია (ონბორდინგი) პანდემიის მიუხედავად. გაინტერესებთ მეტი გაიგოთ? ზემოქმედების სრულ ანგარიშში ნახავთ საინტერესო მახასიათებლებს, რომლებიც უფრო დეტალურდ

მდგრადობის საშუალოვადიანი მიზნები და მიღწევები 2020 წელს

2018 წელს, ჩვენ განვსაზღვრეთ შემდეგი სამი საშუალოვადიანი მიზანი, რომლებიც ჯგუფმა ყველაზე მნიშვნელოვნად ჩათვალა მდგრადობასთან დაკავშირებული ჩვენი ამბიციების მისაღწევად. როგორც დღემდე მიღებული შედეგები აჩვენებს, ჩვენ ამ მიზნების მიღწევის შუა პროცესში ვართ:

ნახშირბად-ნეიტრალობა

მიზანი: ნახშირბად-ნეიტრალობის მიღწევა ჯგუფის CO₂ ემისიების კუთხით



4 ბანკი, პროკრედიტ ჰოლდინგი, პროკრედიტ აკადემია და ფრანკფურტში Quipa-ს სათავო ოფისი ელექტროენერჯიას განახლებადი ენერჯის მომწოდებლებისგან იღებენ.

7 ბანკი და პროკრედიტ აკადემია აღჭურვილია სახურავზე დამონტაჟებული საკუთარი ფოტოვოლტარული სისტემებით (დაყენებული პიკური სიმძლავრე დაახლოებით 400 კვტ/წმ, 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით).


3 ბანკის სათავო ოფისი EDGE სერტიფიკატის მფლობელი შენობებია.

ავტომანქანების პარკის 26% არის ელექტრო, ხოლო 39% არის ჰიბრიდული.

საოფისე შენობებში ენერჯის მოხმარების 14%-ით შემცირება 2018-2020 წლებში.

20% მწვანე სესხები

მიზანი: ჯგუფის მწვანე სესხების პორტფელის შეფარდებითი ზომის გაზრდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის 20%-მდე, ამავე დროს, ჩვენი მწვანე დაკრედიტების მაღალი ხარისხის შენარჩუნება



მწვანე სესხების პორტფელის ზომა: 985 მილიონი ევრო

მწვანე სესხების პორტფელის ზრდა 2020 წელს: 24%

მწვანე საინვესტიციო სესხები, როგორც მთლიანი საინვესტიციო სესხების წილი: 24%

ორიენტირი: ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯია, განსაკუთრებით ფოტოელექტროენერჯია (იხილეთ „განახლებადი ენერჯის სპეციალური პროექტების დაფინანსება, > გვერდი 46 ქვემოთ)

პერსონალის კომპეტენცია

მიზანი: ჩვენი პერსონალის სოციალური და გარემოსდაცვითი კომპეტენციის მაღალი დონის შენარჩუნება და შემდგომი გაზრდა

პერსონალის გადამზადება სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებში:	კატეგორია
	ჯგუფის სემინარი მწვანე დაფინანსებაზე ექვს თვეში ერთხელ
	ეთიკის კურსი პროკრედიტ აკადემიაში
	გარემოსდაცვითი მართვა
	გარემოსდაცვითი კურსები პროკრედიტ აკადემიასა და პროკრედიტ მენეჯმენტის აკადემიაში
	ქცევის კოდექსი
	მწვანე დაფინანსება
	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება
	განახლებადი ენერჯია



სულ გარემოსდაცვითი ტრენინგისთვის დათმობილი საათები: 13 353 საათი

სულ ქცევის კოდექსთან დაკავშირებული ტრენინგისთვის დათმობილი საათები: 14,132 საათი

დისტანციური ტრენინგის ახალი მეთოდები, რომელიც შემდეგ სფეროებში დაინერგა: პროკრედიტის ონბორდინგ პროგრამა, ენის კურსები, სემინარები, აკადემია.

ჩვენი ზემოქმედება საქართველოში

სოციალურად პასუხისმგებელი მიღწევა

პროკრედიტ ბანკი საქართველო, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტი ორიენტირებულია ბიზნეს საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი პრინციპების სრული დაცვით. ეს გამოიხატება, როგორც შიდა და გარე აქტივობებში, ასევე კლიენტებთან და თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- პირველი ბანკი საქართველოში, რომელსაც საკუთარი მზის ელექტრო სადგური აქვს. სადგური სათაო ოფისის სახურავზეა განლაგებული და მისი საშუალებით წელიწადში მოხმარებული ენერჯის 10%-ის მზის მწვანე ენერჯით ჩანაცვლება ხდება.
- ბანკის სათაო ოფისი პირველი შენობაა საქართველოში, რომლის რესურს და ენერჯო ეფექტურობა დასტურდება EDGE საერთაშორისო სერტიფიკატით
- ავტოპარკის განახლების მიზნით, ბანკმა კიდევ ერთი სრულად ელექტო მანქანა ჰიუნდაი კონა და ორი სმარტი შეიძინა, რითიც ელექტო მანქანების წილი კიდევ მეტად გაზარდა.

მწვანე დაფინანსება

მწვანე დაფინანსებას პროკრედიტ ბანკი საქართველო 2012 წლიდან ახორციელებს. აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი საკრედიტო პროდუქტები მიმართულია როგორც უკეთესი გარემოს შესაქმენად, ასევე მოსარგებლე ფიზიკური პირებისა თუ ბიზნესისთვის უკეთესი ალტერნატივის შეთავაზებისკენ, რომელიც აუმჯობესებს მათ ყოველდღიურობას, უზოგავს ხარჯებს და ეფექტური ინვესტიციის წყაროს წარმოადგენს.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- პროკრედიტ ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 17%-ს მწვანე პორტფელი წარმოადგენს.
- პროკრედიტ ბანკმა ბაზარზე მზის ელექტროსადგურის დაფინანსების პროგრამა დაიწყო
- Edge სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ, ბანკი დაფინანსების მიმზიდველ პირობებს სთავაზობს მათ, ვისაც სურთ გახადონ შენობა მწვანე.

ჩვენი პარსონალი

თანამშრომლების მუდმივი განვითარება, მათთვის სამართლიანი გარემოს შექმნა ჩვენი ძირითადი მოტივია. კოვიდ პანდემიის პირობებში, ჩვენ ვაგრძელებდით ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებას და მათთვის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რაც დადებითად აისახებოდა როგორც სამუშაო პროცესზე, ასევე თანამშრომლის პირად კმაყოფილებაზე.

მიღწევები და მნიშვნელოვანი მოვლენები:

- პანდემიის მიუხედავად, პროკრედიტ ბანკი აქტიურად განაგრძობდა დასაქმების საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში ახალი კადრების აყვანის პროცესს.
- ყოველწლიურმა მწვანე სემინარმა, რომელიც თანამშრომლების ცნობიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება, ასევე თანამშრომლებს აცნობს ბანკის ეკო მიმართულებით მიმდინარე პროექტებს, ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.